

შპს „მადოჰავაგი“

ფინანსური ანგარიშგება

2018 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
განმარტებითი შენიშვნები	10
დასკვნის ბოლო გვერდი	24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მადოჰავაგი“-ის ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მადოჰავაგი“-ის (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღებით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SME) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

გამომდინარე იქდან, რომ ჩვენ კომპანიის აუდიტორებად არ დავინიშნეთ 2018 წლის 31 დეკემბრამდე, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასებულობების ინვენტარიზაციას, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ ვრწმუნდებით 2018 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სასაქონლო მატერიალური ფასებულობების რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 2018 და 2019 წლების 31 დეკემბერს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალურ ფასებულობებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალური ფასებულობების 2018 და 2019 წლების 31 დეკემბრით არსებულ ნაშთზე პირობითია.

აღნიშნულის გამო, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა იყო თუ არა რაიმე კორექტირება საჭირო ფინანსური მდგომარეობის საბალანსო ღირებულებებთან მიმართებაში, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო, არსებულ ნაშთზე მოსაზრება პირობითია.

დამატებითი ინფორმაცია

კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება არ შემოწმებულა.

კომპანიის წლიურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს წლიურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასაზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. წლიური ანგარიშები ჩვენთვის ხელმისაწვდომია. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით. ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს ამგვარი ინფორმაცია სხვა არსებითუხსტობას.

ხელმძღვანელობისა და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ის) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით და შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელონ, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადონ ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და ღრიცხვისას გამოიყენონ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თ არ აქვს რეალური არჩევანი ასე არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს, გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის (ISA) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ

ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლის მიერ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი, ISA-სთან შესაბამისად, აუდიტის პროცესში ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებით უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებით უზუსტობების რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო გარიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უგულებელყოფას;

შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავადგინოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;

ვადგენთ და ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულებას;

ვადგენთ და ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელონ საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ

ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონერადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

კომპანიის ფარგლებში არსებული სამეურნეო ერთეულის საქმიანობების ინფორმაციასთან დაკავშირებით საკმარისი შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოსახატავად, ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და მის შედეგაზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხების განხილვა ხელმძღვანელობასთან არ მომხდარა.

კომპანიის ხელმძღვანელობას მივაწოდეთ განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირძე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვანად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის პირობითი მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

სხვა საკითხებთან ერთად ხელმძღვანელობას/პარტნიორთა საბჭოს ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილი

29 სექტემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონერებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

კომპანიის ფარგლებში არსებული სამეურნეო ერთეულის საქმიანობების ინფორმაციასთან დაკავშირებით საკმარისი შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოსახატავად, ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და მის შედეგაზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხების განხილვა ხელმძღვანელობასთან არ მომხდარა.

კომპანიის ხელმძღვანელობას მივაწოდეთ განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის პირობითი მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

სხვა საკითხებთან ერთად ხელმძღვანელობას/პარტნიორთა საბჭოს ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილი

29 სექტემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო




შპს მადოჰავაგი+
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	მენ.	31-დეკ- 2019	31-დეკ- 2018	1-იან- 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	1,335,310	2,062,145	1,742,674
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,335,311	2,062,145	1,742,674
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები		25,785	22,219	14,312
სხვა მიმდინარე აქტივები		828,228	1,125,948	1,189,292
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5	1,311,127	2,471,784	1,874,521
ფული და ექვივალენტები	6	11,076,445	7,890,242	4,940,917
სულ მოკლევადიანი აქტივები		13,241,585	11,510,193	8,019,042
სულ აქტივები		14,576,896	13,572,339	9,761,716
კაპიტალი და ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	595,249	764,343	238,454
სულ მიმდინარე ვალდებულებები		595,249	764,343	238,454
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	8	500	500	500
აკუმულირებული მოგება/ (ზარალი)		13,981,146	12,807,495	9,522,761
სულ კაპიტალი		13,981,646	12,807,995	9,523,261
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,576,896	13,572,339	9,761,716

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

29 სექტემბერი 2020 წ.
თბილისი, საქართველო

შპს მაღოჰავაგი+

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	მენ.	31-დეკ- 2019	31-დეკ- 2018	1-იან- 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	1,335,310	2,062,145	1,742,674
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,335,311	2,062,145	1,742,674
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები		25,785	22,219	14,312
სხვა მიმდინარე აქტივები		828,228	1,125,948	1,189,292
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5	1,311,127	2,471,784	1,874,521
ფული და ექვივალენტები	6	11,076,445	7,890,242	4,940,917
სულ მოკლევადიანი აქტივები		13,241,585	11,510,193	8,019,042
სულ აქტივები		14,576,896	13,572,339	9,761,716
კაპიტალი და ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	595,249	764,343	238,454
სულ მიმდინარე ვალდებულებები		595,249	764,343	238,454
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	8	500	500	500
აკუმულირებული მოგება/ (ზარალი)		13,981,146	12,807,495	9,522,761
სულ კაპიტალი		13,981,646	12,807,995	9,523,261
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,576,896	13,572,339	9,761,716

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

სიხაჩიძე

29 სექტემბერი 2020 წ.
თბილისი, საქართველო



**შპს მადოჰავაგი +
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

	შენიშვნები	2019 წელი	2018 წელი
ამონაგები მომსახურების გაწევიდან		11,414,770	15,491,545
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	9	(8,217,401)	(9,308,691)
მთლიანი შემოსავალი		3,197,369	6,182,854
საოპერაციო ხარჯები			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(789,209)	(1,225,956)
საპროცენტო შემოსავლები	10	409,535	105,001
ფინანსური ხარჯები		(2,040)	(5,079)
სულ საოპერაციო ხარჯები		(381,714)	(1,126,034)
არასაოპერაციო შემოსავლები		16,930	190
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		216,571	104,427
მოგება დაბეგვრამდე		3,049,157	5,161,437
მოგების გადასახადი		(31,899)	(35,019)
წმინდა მოგება		3,017,258	5,126,418

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

29 სექტემბერი 2020 წ.
თბილისი, საქართველო

შპს მადოჰავაგი +

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2019 წელი	2018 წელი
ამონაგები მომსახურების გაწევიდან		11,414,770	15,491,545
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	9	(8,217,401)	(9,308,691)
მთლიანი შემოსავალი		3,197,369	6,182,854
საოპერაციო ხარჯები			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(789,209)	(1,225,956)
საპროცენტო შემოსავლები	10	409,535	105,001
ფინანსური ხარჯები		(2,040)	(5,079)
სულ საოპერაციო ხარჯები		(381,714)	(1,126,034)
არასაოპერაციო შემოსავლები		16,930	190
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		216,571	104,427
მოგება დაბეგვრამდე		3,049,157	5,161,437
მოგების გადასახადი		(31,899)	(35,019)
წმინდა მოგება		3,017,258	5,126,418

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

სიხაჩიძე

29 სექტემბერი 2020 წ.
თბილისი, საქართველო



მადოჰავაგი+

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	500	9,522,761	9,523,261
დივიდენდის გაცემა	-	(1,841,684)	(1,841,684)
პერიოდის შედეგი	-	5,126,418	5,126,418
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	500	12,807,495	12,807,995
დივიდენდის გაცემა	-	(1,843,607)	(1,843,607)
პერიოდის შედეგი	-	3,017,258	3,017,258
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	500	13,981,145	13,981,646

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

29 სექტემბერი 2020 წ.
თბილისი, საქართველო

მადოჰავაგი+

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	500	9,522,761	9,523,261
დივიდენდის გაცემა	-	(1,841,684)	(1,841,684)
პერიოდის შედეგი	-	5,126,418	5,126,418
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	500	12,807,495	12,807,995
დივიდენდის გაცემა	-	(1,843,607)	(1,843,607)
პერიოდის შედეგი	-	3,017,258	3,017,258
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	500	13,981,145	13,981,646

ხელმოწერი პირები:

დირექტორი:

სიხაჩი 7017

ფინანსური მენეჯერი:

29 სექტემბერი 2020 წ.
თბილისი, საქართველო



შპს მადოჰავაგი+
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2019 წელი	2018 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	2,832,586	5,057,010
კორექტირება:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	675,188	698,125
მოგების გადასახადის ხარჯი	(31,899)	(35,019)
წმინდა (ზარალი) /სარგებელი გაცვლითი კურსის სხვაობიდან	216,571	104,427
ფული საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	3,692,446	5,824,543
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში	(3,566)	(7,907)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	1,165,754	(610,589)
(ზრდა)/შემცირება სხვა მიმდინარე აქტივებში	297,720	63,344
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(145,194)	527,217
სულ ფულის მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:	4,978,160	5,808,608
ფულადი ნაკადების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	51,648	(1,017,598)
საინვესტიციო საქმიანობაში მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	51,648	(1,017,598)
ფულადი ნაკადების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(1,843,607)	(1,841,684)
ფინანსურ საქმიანობაში (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	(1,843,607)	(1,841,684)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	3,186,201	2,949,326
ფული და ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	7,890,242	4,940,917
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	11,076,445	7,890,242

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

29 სექტემბერი 2020 წ.
თბილისი, საქართველო

მპს მაღოჰავაგი+

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2019 წელი	2018 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	2,832,586	5,057,010
კორექტირება:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	675,188	698,125
მოგების გადასახადის ხარჯი	(31,899)	(35,019)
წმინდა (ზარალი) /სარგებელი გაცვლითი კურსის სხვაობიდან	216,571	104,427
ფული საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	3,692,446	5,824,543
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში	(3,566)	(7,907)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	1,165,754	(610,589)
(ზრდა)/შემცირება სხვა მიმდინარე აქტივებში	297,720	63,344
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(145,194)	527,217
სულ ფულის მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:	4,978,160	5,808,608
ფულადი ნაკადების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	51,648	(1,017,598)
საინვესტიციო საქმიანობაში მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	51,648	(1,017,598)
ფულადი ნაკადების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(1,843,607)	(1,841,684)
ფინანსურ საქმიანობაში (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	(1,843,607)	(1,841,684)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	3,186,201	2,949,326
ფული და ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	7,890,242	4,940,917
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	11,076,445	7,890,242

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

ბიხაჯიძე

29 სექტემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო



1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

კომპანია დაფუძნდა 2006 წლის 25 ივლისს. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს, რომელიც შექმნილია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია “საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ს მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 216427917.

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ავტოტრანსპორტითა და პერსონალით უზრუნველყოფა საერთაშორისო პროექტების განმახორციელებელი იურიდიული პირებისათვის.

კომპანია რეგისტრირებულია მისამართზე: 3700, ქვემო ქართლი, რუსთავი, გურამიშვილის ქ. 7–25. კომპანია საქმიანობს მისამართზე: 3700, ქვემო ქართლი, რუსთავი, გურამიშვილის ქ. 7–25.

კომპანიის მფლობელობის სტრუქტურა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

დასახელება	წილი
მიხეილ სიხარულიძე	55.00 %
სოფიო სიხარულიძე	45.00 %

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
1 USD/GEL	2.8677	2.676
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SMEs) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME) დანერგვა

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება, წარმოადგენს შუალედურ ეტაპს მსს ფასს (IFRS for SME) გადასვლის პროცესში.

შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული პერიოდის ანგარიშგება წარმოადგენს პირველ აუდირებულ ანგარიშგებას, რომელიც კომპანიამ მოამზადა IFRS for SME სტანდარტების მიხედვით, შედარების მიზნებისთვის 2018 წლის 31 სექტემბრით დასრულებული პერიოდის მონაცემების ჩათვლით, როგორც ამას მოითხოვს სააღრიცხვო პოლიტიკა.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის პირველი აუდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც კომპანიამ მოამზადა IFRS for SME-ის შესაბამისად.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის

რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტირების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით), მრჩევლის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისათვის:

სასარგებლო ვადა (წელი)	
ავტომობილები	5
ოფისის აღჭურვილობა	4
კომპიუტერები	4
სხვა ძირითადი საშუალებები	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და სუფთა საერალიზაციო ფასს შორის უმცირესით.

მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

კლიენტებთან დადებული კონტრაქტებიდან შემოსავალი

ეს ახალი სტანდარტი გვთავაზობს მთავარ პრინციპს, რომ შემოსავალი აღიარებული უნდა იყოს მაშინ, როცა საქონელი ან მომსახურებები გადაეცემა კლიენტს, გარიგებაში ფაქტიური გაყიდვის ფასად. ნებისმიერი პაკეტით განსაზღვრული საქონელი ან მომსახურებები, რომლებიც განსხვავდება, ცალკე უნდა იყოს აღიარებული და საკონტრაქტო ფასის ნებისმიერი დისკონტი ზოგადად უნდა გადანაწილდეს ცალკე ელემენტებზე. როცა უზრუნველყოფა რაიმე მიზეზით იცვლება, მინიმალური თანხები აღიარებული უნდა იყოს, თუ მათ არ აქვთ შეზღუდვის მნიშვნელოვანი რისკი. კლიენტებთან კონტრაქტების უზრუნველყოფით გამოწვეული ხარჯები უნდა კაპიტალიზდებოდეს და ამორტიზებული იქნას პერიოდის განმავლობაში, როცა კონტრაქტის სარგებელი მოიხმარება. ეს ცვლილება არ არის მოსალოდნელი, რომ რაიმე გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშებზე.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების

გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

ფინანსურ ანგარიშგებებში მოგებიდან გადასახადი ასახულია არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომეშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% მთლიან თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრიდან რეზიდენტი იურიდიული პირებზე მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა მოგების გადასახადში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ

4. ძირითადი საშუალებები

	ავტომობი ლები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერუ ლი ტექნიკა	სხვა	სულ
თვითღირებულება					
ნაშთი, 01 იანვარი 2018	3,946,334	121,509	11,993	90,439	4,170,277
დამატება	1,010,925	(3,539)	124	10,088	1,017,598
ნაშთი, 31 დეკემბერი 2018	4,957,258	117,970	12,117	100,527	5,187,875
დამატება	(56,510)	3,013	1,735	114	(51,648)
ნაშთი, 31 დეკემბერი 2019	4,900,748	120,983	13,852	100,641	5,136,227
დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი, 01 იანვარი 2018	(2,268,963)	(104,634)	(10,064)	(43,941)	(2,427,603)
პერიოდის ცვეთის ხარჯი	(678,073)	(5,499)	4,651	(19,205)	(698,125)
ნაშთი, 31 დეკემბერი 2018	(2,947,035)	(110,134)	(5,414)	(63,146)	(3,125,730)
პერიოდის ცვეთის ხარჯი	(646,249)	(6,305)	(2,511)	(20,123)	(675,188)
ნაშთი, 31 დეკემბერი 2019	(3,593,285)	(116,439)	(7,924)	(83,269)	(3,800,917)
საბალანსო ღირებულება					
ნაშთი, 01 იანვარი 2018	1,677,371	16,875	1,929	46,498	1,742,674
ნაშთი, 31 დეკემბერი 2018	2,010,223	7,837	6,704	37,381	2,062,145
ნაშთი, 31 დეკემბერი 2019	1,307,464	4,545	5,928	17,373	1,335,310

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ- 2019	31-დეკ-2018	1-იან-2018
სავაჭრო მოთხოვნები	1,289,488	2,451,358	1,866,950
სხვა მოთხოვნები	8,755	8,471	7,571
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები			

სავაჭრო მოთხოვნები მიმდინარეა და არ შეიცავს ხანდაზმულ დებიტორებს, ამიტომ კომპანიის მენეჯმენტის რწმენით სავაჭრო მოთხოვნების აღიარებულ ოდენობასა და მათ სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობა არ არის.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31 დეკ 2019	31 დეკ 2018	01 იან 2018
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	7,439,491	5,944,997	3,903,838
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში (ევრო)	3,636,955	1,945,245	1,037,079
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	11,076,445	7,890,242	4,940,917

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

7. კაპიტალი

კომპანიას საწესდებო კაპიტალში შენატანი არ განუხორციელებია. 2018 და 2019 საანგარიშგებო პერიოდებში მოხდა დივიდენდების გაცემა შემდეგი მოცულობით: 1,841,684 ლარი 2018 წლის 1 თებერვალს, ხოლო 1,843,607 ლარი 2019 წლის, შესაბამისად.

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31 დეკ 2019	31 დეკ 2018	01 იან 2018
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	60,183	359,144	40,378
გადასახდელი სადაზღვევო ვალდებულებები	527	527	478
მომსახურება კერძო პირებისგან	509,378	393,218	186,144
საპენსიო შენატანის ვალდებულებები	9,518	-	-
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	1,454	1,454	1,454
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14,188	10,000	10,000
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	595,249	764,343	238,454

9. ხარჯები

რეალიზებული სერვისის თვითღირებულება

რეალიზებული სერვისის თვითღირებულება	2019 წელი	2018 წელი
ხელფასები	6,620,230	7,545,374
ავტომანქანის იჯარა	280,016	290,858
საწვავის ხარჯები	185,307	320,592
სხვა საოპერაციო ხარჯები	196,754	160,901
ცვეთის ხარჯი	731,697	712,478
სამეწარმეო მივლინების ხარჯები	115,258	162,180
ტრენინგის ხარჯები	53,784	90,076
სამედიცინო შემოწმების ხარჯები	34,353	26,230
სულ რეალიზებული სერვისის თვითღირებულება	8,217,401	9,308,691

თვითღირებულების უდიდეს ნაწილს სახელფასო ხარჯი შეადგენს. ასევე, მნიშვნელოვნია ავტომობილის იჯარის ხარჯები და ცვეთის ხარჯები. სხვა ხარჯები აერთიანებს სამეწარმეო მივლინებების, ტრენინგების, სამედიცინო შემოწმებებისა და სხვა ხარჯებს.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2019 წელი	2018 წელი
საიჯარო ქირა	144,909	175,084
კომუნიკაციის ხარჯები	64,545	96,609
ქონების დაზღვევის ხარჯები	64,451	12,242
საკონსულტაციო ხარჯები	38,763	413,619
ადმინისტრაციული ხელფასები	441,338	494,475
სხვა ხარჯები	35,214	33,927
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	789,219	1,225,956

10. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას და ამავე დროს, ეს კანონმდებლობა ხშირი ცვლილებების საგანია. აღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს ან არასწორად იქნას მიჩნეული შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცვენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას. შედეგად, შესაძლოა დარიცხულ იქნას მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. თუმცა, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მათ მიერ გამოყენებული საგადასახადო ინტერპრეტაციები გონივრული, სამართლიანი და სწორია და კომპანია არ დგას დამატებითი გადასახადებისა თუ ჯარიმების დარიცხვის რისკის წინაშე.

11. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივებისა და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარებანაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

12. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითიგაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილიშეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

13. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 - ით „მნიშვნელოვანი დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი ნაშთები

მენეჯმენტისათვის ხელფასის სახით გადახდილი თანხები	წელი 2019	წელი 2018
მენეჯმენტის ხელფასი	185,500	191,000
დივიდენდები	1,843,607	1,841,684
სულ მენეჯმენტისათვის ხელფასის სახით გადახდილი თანხები	2,029,107	2,032,684

14. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები. მენეჯმენტს მიაჩნია რომ კომპანია გააგრძელებს თავის საქმიანობას მომავალშიც.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2020 წლის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდა ვირუსი Covid-19, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტის თარიღისთვის პანდემიად იქნა მიჩნეული. აღნიშნული კრიტიკული სიტუაციის სამართავად საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 21 მარტს მიიღო გადაწყვეტილება ქვეყანაში გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა. COVID-19-ის შემდგომი გავრცელება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, სავარაუდოდ, უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკაზე, თუმცა ჯერ ნაადრევია კომპანიის საქმიანობაზე მისი შესაძლო გავლენის სრულად გააზრება. კომპანია კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებას ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ დამდგარ, არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს.

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 29 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელსაც შეიძლება გავლენა მოეხდინა წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

შპს „მადოჰავაგი +“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

მმართველობითი ანგარიშგების დასკვნა

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, თანდართული მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეესაბამება მოქმედ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან. ანგარიშგება სათანადოდ წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის, მდგომარეობისა და მომავალი განვითარების შესაძლებლობებისა და რისკების შესახებ ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა შპს „მადოჰავაგი +“-ს თანმხლები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. შპს „მადოჰავაგი +“-ს მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

შპს „რასელ ბედფორდ ეივისი“-მ ჩაატარა შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონის შესაბამისად საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებას, აუდიტის შედეგებს, მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებულ აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილი



შპს „რასელ ბედფორდ ეივისი“

29 სექტემბერი 2020 წელი

შპს მაღოჭავაძი +

მმართველობის ანგარიშგება

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ მონაცემებს, როგორიცაა:

- საქმიანობის მიმოხილვა, კომპანიის შესახებ ცნობები,
- მომსახურების სტანდარტები, (განვლილ მიღწევებს, ისე დასახულ მიზნები)
- კომპანიის ფაქტობრივ ფინანსურ მაჩვენებლებს და განვითარების პოტენციალს,
- ბიზნეს რისკები და საწარმოს სტრუქტურა
- კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

საქმიანობის მიმოხილვა, კომპანიის შესახებ ცნობები

კომპანია დაფუძნდა 2006 წლის 25 ივლისს და წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს, რომელიც შექმნილია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია “საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ს მიერ. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ავტოტრანსპორტითა და ავტოსატრანსპორტო ტექნიკის პერსონალით უზრუნველყოფა, ძირითადად საერთაშორისო პროექტების განმახორციელებელი იურიდიული პირებისათვის. კონკრეტულად, საწარმო აქირავებს მაღალი გამოვლობის ავტომობილებს მძღოლით ან მის გარეშე, ასევე ამზადებს მაღალი გამოვლობის ავტომობილების ან მძიმე ტექნიკის მძღოლებს და ამ პესონალით უზრუნველყოფს კლიენტებს.

2019 წლის განმავლობაში, კომპანიას დასაქმებული ჰყავდა 272 თანამშრომელი.

კომპანიის ძირითადი კონტრაქტორია ბიპი ექსპლორეიშენი და მისი საოპერაციო ოფისები საერთაშორისო პროექტების მიხედვით.

მოკლე ფინანსური მიმოხილვა

2019 წელს ხდება საწარმოს მიერ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება. ანგარიშგება ასახავს ბოლო სამი წლის ფინანსური მდგომარეობას. ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის მოკლე ფინანსური ინფორმაცია, ამ ანგარიშგებასა და სხვა დამატებით ინფორმაციაზე დაყრდნობით:

	31-12-17	31-12-18	კოეფ.	31-12-18	31-12-19	კოეფ.
მიმდინარე აქტივები	8,067,284	11,613,389	144%	11,613,389	13,340,269	115%
გრძელვადიანი აქტივები	1,742,674	2,062,146	118%	2,062,146	1,335,310	65%
სულ აქტივები	9,809,958	13,675,535	139%	13,675,535	14,675,579	107%
მიმდინარე ვალდებულებები	286,697	867,540	303%	867,540	693,933	80%
მოგება/(ზარალი)	9,522,761	12,807,495	134%	12,807,495	13,981,146	109%
სულ კაპიტალი	9,523,261	12,807,995	134%	12,807,995	13,981,646	109%
შემოსავალი რელიზაციიდან	15,182,172	15,491,545	102%	15,491,545	11,414,770	74%
თვითღირებულება	9,367,385	9,803,165	105%	9,803,165	8,658,728	88%
მოგება დაბეგვრამდე	5,305,351	5,161,437	97%	5,161,437	3,049,157	59%

აქვეა ზოგადი სახის კოეფიციენტები 2018 და 2019 წლებისათვის:

N	დასახელება	განმარტება	2018 წელი	2019 წელი
1	Current ratio - მიმდინარე (მოკლევადიანი) ლიკვიდობის კოეფიციენტი	მიმდინარე დავალიანების მიმდინარე აქტივებით დაფარვის შესაძლებლობა	13.39	19.22
2	Quick ratio - სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	მიმდინარე ვალდებულებებისა და სწრაფად ლიკვიდური მიმდინარე აქტივების თანაფარდობა	13.36	19.19
3	Average collection period- დებიტორული დავალიანების დაფარვის საშუალო პერიოდი	დებიტორული დავალიანების ბრუნვის ხანგრძლივობა და ლიკვიდურობა	57.76	41.10
4	Average collection period- სავაჭრო ვალდებულების დაფარვის საშუალო პერიოდი	კრედიტორული დავალიანების ბრუნვის ხანგრძლივობა და ლიკვიდურობა	0.08	0.07
5	Liability to equity - ვალდებულების კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი	კომპანიის ვალდებულებების თანაფარდობა სრულ კაპიტალთან	0.06	0.04
6	Net Profit margine - რენტაბელურობა	განსაზღვრავს კომპანიის ან ბიზნესის წმინდა მომგებიანობას	28.32%	22.71%
7	Gross profit margin - საერთო მოგების მარჟა	განსაზღვრავს კომპანიის ან ბიზნესის საქმიანობის ფულის გამომუშავების ხარისხს	33.32%	26.71%
8	Return on assets - უკუგება აქტივებზე	განსაზღვრავს კომპანიის აქტივებზე კაპიტალდაბანდების მომგებიანობის დონეს	113.28%	77.78%

მომსახურების სტანდარტი, საწარმოს გამოცდილება და პროექტები

მიუხედავად იმისა რომ საქართველოში არ არსებობს დარგის მარეგულირებელი წესები და სტანდარტები, საწარმო მაინც იყენებს მთავარი კონტრაქტორის მიერ დადგენილ სტანდარტს რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა დიდ ბრიტანეთში არსებულ მოთხოვნებს. შესაბამისად საწარმო თავის ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს აქტივად თვლის ამ წესების და სტანდარტების დაცვის უნარს საქმიანობის პროცესში - რაც უპირობო მოთხოვნაა ყველა ტენდერსა და შეთავაზებაში.

რომ ჩამოვყალიბოთ ყველაზე ზოგადად სტანდარტი აყალიბებს მოთხოვნებს რამდენიმე ძირითადი მიმართულებით:

- ავტოტექნიკის გამართულობა,
(ყველა საქმიანობაში გამოყენებული მანქანა, რეგულარულად - დათქმული ინტერვალით გადის ტექნიკურ დათვალიერება-სერთიფიცირებას, რომლის მიხედვით განისაზღვრება მისი გამოყენების რელიეფი და მეტეოროლოგიური სიტუაცია და მაქსიმალური სისწრაფე და აისახება ეს მონაცემი მაქანის სტიკერებზე. შეფასება-სერთიფიცირებას ახდენს ბჰ ექსპლორეიშენის სტანდარტებით აღიარებული ექსპერტები);
- მძღოლის ჯანმრთელობის მდგომარეობა,
(დადგენილია ასევე მძღოლის ჯანმრთელობის სტანდარტები და ყვეა მძღოლი გადის რეგულარულ სკრინინგს და ასევე ალკო და ნარკო ტესტებს - რის შემდეგაც მძღოლს ეძლევა ნებართვა რომ ირიცხებოდეს აქტიურ პერსონალში).
- მძღოლის ცოდნა და გამოცდილება,
(მძღოლს გადა იმისა რომ ევალუება ქონდეს მართვის მოწმობა ქვეყანაში არსებული სტანდარტის მიხედვით ის ასევე ვალდებულია რომ გაეცნოს ექსპერტების სემინარებს რეგულარული ინტერვალით - სადაც განხილულია დარგში მიმდინარე ტენდენციები, რისკები და მათზე საპასუხო ნაბიჯები, სემინარებს ატარებს ბიპი ექსპლორეიშენის მიერ მოვლენილი ექსპერტები, ისინი ძირითადად რეგიონში არსებულ ზოგადი სტატისტიკიდან გამომდინარე რისკების აღწერებს და საპასუხო ნაბიჯებს განაზოგადებს და თეორიული სახის წარმოადგენენ.
გარდა ამისა მძღოლს მოერთხოვება პირველადი დახმარების გაწევის ცოდნა და პრაქტიკული გამოყენება, ამისათვის ყველა მათგანი გადის რეგულარულ კურსებს და ინარჩუნებს ამ ცოდნას, კურსის გავლის შემდეგ მას უზანგრძლივდება ლიცენცია და აგრძელებს აქტიურ პერსონალში ყოფნას)
- მძღოლის მუშაობის მუდმივი მონიტორინგი.
(მძღოლის მუშაობის მონიტორინგისათვის საწარმოს აქვს გიპიეს ნავიგაციის აპარატურა და მკაცრად კონტროლდება მარშუტი, ამასთან მანქანაში მოხვედრისთანავე მგზავრი იღებს ბუკლეტს რომელაც მგზავრობის ბოლოს ავსებს და თავის შეფასებას მძღოლსა თუ მანქანაზე აფიქსირებს.
ასევე საწარმოს აქვს გაფორმებული კონტრაქტი ქვეყნის ძირითად მაგისტრატებზე არსებული ვიდეო კამერების მონაცემების მისაღებად რომელიც ასევე აფასებს მძღოლის ქცევას გზებზე, ეს მონაცემები შეჯამდება ყოველი თვის ბოლოს და გამოვილნდება:
 - კრიტიკულად დაუშვებელი მოქმედებები (თუ ასეთი აღინიშნა),
 - გამოვლინდება 10 ყველაზე ცუდი შედეგის მქონე მძღოლი და გადადის ის გაფრთხილებულთა სიაში - თუ მძღოლი 3 გადაბმული თვის მანძილზე ვერ ამოვა ამ სიიდან მაშინ დიდი ალბათობით მას გაანთავისუფლებენ სამსახურიდან.
 - გამოვლინდება 3 ყველაზე კარგი შედეგის მქონე მძღოლი და გაიცემა მათზე პრემია.

ყოველივე ეს ზემოთქმული ღინისძიებები და ძალიან მაღალი გასამრჯელო (დარგში არსებული საშუალო გასამრჯელოზე ორჯერ და მეტჯერ მეტიც კი) უზღუნველყოფს საწარმოს მომსახურების მაღალ და სტაბილურ ხარისხს.

საწარმოს კიდევ ერთი დიდი კონკურენტული უპირატესობაა დიდი სამუშაო გამოცდილება, საწარმოს საქმიანობს იგივე დარგში 2006 წლიდან და მე-15 წელია თავაზობს უცვლელ ხარისხს მომხმარებელს.

ამ პერიოდის მანძილზე უცვლელად საწარმოს მთავარი კლინტი არის ბიპი ექსპლორეიშენი - რომელიც 2001 წლიდან ანხორციელებს ქვეყნისათვის სტრატეგიულ პროექტებს როგორიცაა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი, სამხრეთ კავკასიის მილსადენის პროექტი და სხვა, ყველა ამ პროექტის მონაწილე არის საწარმო დააარსების დღიდან და უცვლელად.

სამომავლო გეგმები

გარდა ამისა საწარმო ელოდება მნიშვნელოვანი პროექტების დაწყებას. არსებობს პოტენციური პროექტები რომელიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს ბიპი ექსპლორეიშენის მიერ, ესენია:

- გორი - ზესტაფონის ერთი მილის ამოცვლის სამუშაოები,
- სუფსაში მილის ამოცვლა,
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოყოლილი მილსადენის ჩანაცვლება ახალი მარშრუტით.

აღიშნული იმფორმაცია მოწოდებულია საწარმოზე ალექს ბოლდვინი პროექტის ხელმძღვანელი ვრეპ პროექტზე.

ასევე არსებობს ხელშესახები მტკიცებულებები რომ რიგ სხვა პროექტებში ასევე იქნება საწარმო ჩართული, კერძოდ:

- 1) 2020 წლის თებერვალში აშშ საელჩოს დახურული ტენდერში საწარმოს აქვს მოწვევა რომლის საბუთები წარდგენილია მაგრამ ტერნდერი შეჩერდა და განახლება პანდემიის შეზღუდვების მოხსნის გამო. საწარმოს დამფუძნებელს აქვს აშშ-ს საელჩოსთან ხანგრძლივი თანამშრომლობის ისტორია, ამიტომ ვვარაუდობთ რომ ამ ტენდერში საწარმო გაიმარჯვებს.
- 2) 2020 მარტის თვიან მიმდინარეობს მოლაპარაკება BriggsEnvironmental თან, კომპანია არის შოტლანდიური კომპანია რომელიც ნავთობი დაღვრაზე რეაგირების მომსახურებას უწევს ბიპი ექსპლორეიშენს, იგი აპირებს საქართველოში შემოსავლას რადგან მოიგო ტენდერი ბიპისთან. აღნიშნულ კომპანიასთან იგეგმება ორი პროექტის განხორციელებას მაგრამ შეზღუდვების გამო პროცესი ვერ იწყება.
- 3) ამასთან საწარმოს აქვს მიმოწერა უკრაინულ ფარმაცევტულ კომპანიასთან რომელიც ანხორციელებს ინვესტიციას ფარმაცევტულ ბიზნესში მაგრამ არ აპირებენ საკუთარი ავტომობილების შეძენას და ფიქრობენ რომ იქირავონ ტექნიკა თავის მძღოლთან ერთად. მათ უკვე გამოხატეს დაინტერესება საწარმოსთან თანამშრომლობის თაობაზე.
- 4) ფოთის პორტის განვითარების პროექტზე საწარმოს უკვე აქვს მიღებული შეთავაზება რომ მიაწოდოს სერვისები (ფოტში ტრანსპორტირებები, აეროპორტში დახვედრები) ფოთის პორტის განვითარების პროცესში, აღნიშნული პროექტი შეჩერებულია პანდემიის შეზღუდვების გამო.

ბიზნეს რისკების მიმოხილვა

თაღლითობა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ნებისმიერი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. საწარმოსთან თანამშრომლობის პირველი წინაპირობაა პარტნიორთა რეპუტაცია, ამიტომაცაა რომ ის წლებია თანამშრომლობს ისეთ კლიენტებთან როგორიცაა ბიპი ექსპლორეიშენი და მისი პარტნიორი კომპანიები.

საწარმოში შემუშავდა და დამტკიცდა ერთიანი პოლიტიკა და მიდგომა ამ კორუფციასთან დაკავშირებით, ის ჩამოყალიბდა მოკლე დოკუმენტად და გაეცნო ყველა თანამშრომელს. დოკუმენტით აღწერილია თუ რა განიხილება კორუფციად და დადგინდა მითითებები თუ როგორ უნდა მოიქცეს თანამშრომელი ასეთი ფაქტების აღმოჩენისას, რა პრინციპებით სარგებლობს საწარმო ამ პირობებში და რა იქნება სამაგალითო საქციელი თანამშრომლის მხრიდან. ასევე ღონისძიებები თუ რა გატარდება ასეთის დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში.

შპს „მადოჰავაგი +“ ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას. დღემდე ამ კუთხით არ გამოვლენილა არც ერთი უკანონო შემთხვევა, რომელიც განხორციელდა საწარმოს საგადახდო არხების ან ჩვენი საქმიანობის ხელშეწყობით.


საწარმოში შემუშავებულია სახელფასო ანაზღაურების სკალა იმგვარად რომ ის ხშირად აჭარბებს დარგის საშუალო მაჩვენებელს ორჯერაც კი, საწარმოში ანაზღაურდება სამედიცინო კვლევები, წახალისებულია სწავლა და შემდგომი კვალიფიკაციის ამაღლება, შექმნილია ადამიანური თანამადროვე სამუშაო გარემო. შესაბამისად ნებისმიერი სტიმული თაღლითობის და საწარმოს ან მესამე პირის აქტივების დატაცებისა მნიშვნელოვად შემცირებულია სანიმუშო სამუშაო პირობებით.

კორპორაციული მართვის სტრუქტურა

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურადაა გამარტივებული და გამოირიცხება რაინე უფუნქციო და შემაფარხებული რგოლის არსებობა, ნათელია პასიხუსმგებლობა და ფუნქციები თითოეული რგოლისა და პოზიციისათვის. ასევე განსაზღვრულია მოხსენების და მართვის მიმართულებები.

საწარმოს სტრუქტურის თავში დგას დირექტორი, მას ემორჩილება მოადგილე რომელიც საწარმოს ყველა დეტალში ბოლომდეა გარკვეული.

Madohavagi + Orgchart



კორპორაციული ეთიკის სტანდარტები

ზოგადი ქცევის სტანდარტი

საწარმოს ყველა პერსონალს, განურჩევლად სტატუსისა მოეთხოვება გულახდილობა და გულწრფელობა. მაღალი რგოლის მენეჯერებს კი დამატებით მოეთხოვებათ რომ თავისი პირადი ქცევით, სამუშაო ადგილზე, დანერგონ ამის კარგი მაგალითი.

დაუშვებელია მიკერძოება და ფარული პროცესები ნებისმიერ, განსაკუთრებით პერსონალთან ურთიერთობის საკითხებში. ყველა საკითხი უნდა გადაიჭრას უფლებების პარიტეტიდან გამომდინარე და სამართლიანობის პრონციპზე დაყრდნობით. დაუშვებელია კანონით და ზოგადი მორალით დაუშვებელი პიზნეს პრაქტიკის, მართვის პოლოტიკის და სამუშაო გარემოს არსებობა.

გამომდინარე საქმიანობის სტეციფიკიდან საწარმოში ფუნქციონირებს მკაცრი ალკო და ნარკო პოლიტიკა, პერსონალი სისტემატურად და რეგულარულად გადიას სამედიცინო ტესტირებებს და ეს სამუშაოს გარდაუვალი ნაწილია და ამას ყველა აცნობიერებს. გარდა ამისა საწარმო ცდოლიბს რომ პერსონალის პირადი დრო ასევე იყოს სტრესისაგან თავისუფალი და ამისთვის გამოიყენება აპარიდარპირი მეთოდებით როგორიცაა - მაღალი ანაზღაურება, კარგი სამუშაო გარემო, გამაგრებელი და ცხელი სასმელები სამუშაო ადგილზე, კულტრულ ღინისძიებებზე დასწრების წახალისება, განათლების ამაღლების წახალისება და სხვა.

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების გარკვეულ სტანდარტებს, რომელსაც საწარმო გადაჭარბებით ასრულებს გამომდინარე იქინდა რომ მისი მთავარი კლინტი (ბიპი ექსოლორეიშენი) აწესებს თავის კონტრაქტორებისთვის ძალიან მკაცრ პირობებს, რომელიც ეფუძნება დიდი ბრიტანეთის სტანდარტს, კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, ცეცხლამქრები საევაკუაციო გეგმები, სათადარიგო გასასვლელებ, საფრხის მანიშნებელი ნიშნები და სხვა. თანამშრომლებს აქვთ მუშაობის ნებართვები რომლის აღება და განახლება მოიცავს ტრეინინგს შემდეგ საკითხებზე - პირველი დახმარება, უბედური შემთხვევის დროს ქცევის წესები, ალო და ნარკო ტესტები. საწარმოში ტარდება ცრუ განგაში და ხანძარზე რეაგირების ცოდნის დასახვეწად.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

დირექტორი

ვაჟა სიხარულიძე

ზოგადი ქცევის სტანდარტი

დაუშვებელია მიკერძოება და ფარული პროცესები ნებისმიერ, განსაკუთრებით პერსონალთან ურთიერთობის საკითხებში. ყველა საკითხი უნდა გადაიჭრას უფლებების პარიტეტიდან გამომდინარე და სამართლიანობის პრონციპზე დაყრდნობით. დაუშვებელია კანონით და ზოგადი მორალით დაუშვებელი პიზნეს პრაქტიკის, მართვის პოლიტიკის და სამუშაო გარემოს არსებობა.

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების გარკვეულ სტანდარტებს, რომელსაც საწარმო გადაჭარბებით ასრულებს გამომიდნარე იქინდა რომ მისი მთავარი კლინტი (ბიპი ექსოლორეიშენი) აწესებს თავის კონტრაქტორებისთვის ძალიან მაღარ პირობებს, რომელიც ეფუძვნება დიდი ბრიტანეთის სტანდარტს, კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, ცეცხლამქრები საევაკუაციო გეგმები, სათადარიგო გასასვლელები, საფრხის მანიშნებელი ნიშნები და სხვა. თანამშრომლებს აქვთ მუშაობის ნებართვები რომლის აღება და განახლება მოიცავს ტრენინგს შემდეგ საკითხებზე - პირველი დახმარება, უბელური შემთხვევის დროს ქცევის წესები, ალო და ნარკო ტესტები. საწარმოში ტარდება ცრუ განგაში და ხანძარზე რეაგირების ცოდნის დასახვეწად.

მმართველობითი ანგარიშების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

ვაჟა სიხარულიძე



Երեւի 70-ի